სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი

Legal entity of public law-Gori Teaching University

აკადემიური საბჭო
დადგენილება № 09-83

ქ. გორი 07 06 2011წ.

სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში გაჭირვებული სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის N27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე **აკადემიურმა საბჭომ**

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში გაჭირვებული სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების წესი, დანართის შესაბამისად.
3. ეს დადგენილება განთავსდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;
4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;
5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში გაჭირვებული სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების შესახებ

1. აღნიშნული წესი აწესრიგებს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტში) გაჭირვებული (სოციალურათ დაუცველი, დევნილი, ობოლი, ინვალიდი (სტუდენტი რომელსაც ყავს ინვალიდი მშობელი/მშობლები), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და სხვა) სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების პროცედურას.
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით განსაზღვრავს დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობას, დაფინანსების ოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. უნივერსიტეტის მიერ შეიძლება დაფინანსდეს სტუდენტი რომელიც არის:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახიდან-3 ქულა;

ბ) ობოლი-3 ქულა;

გ) დევნილი-3 ქულა;;

დ) ინვალიდი (ყავს ინვალიდი მშობელი/მშობლები), პირველი ჯგუფი-3 ქულა; მეორე ჯგუფი-2 ქულა; მესამე ჯგუფი-1 ქულა.

ე) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (არანაკლებ---შვილი)-3 ქულა;

ვ) ავადმყოფი-3 ქულა.

4. იმ შემთხვევაში თუ ორი ან ორზე მეტი სტუდენტის ქულები დაემთხვევა ერთმანეთს, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს რომელსაც წინა სემესტრში ათვისებული აქვს აკადემიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა (რომელიც გამოითვლება ქვემოთ მოცემული ფორმულის მიხედვით) მეტია.

$$X = \frac{Y1+Y2+Y3\ldots\ldots Yn}{n}$$

X-არის საშუალო არითმეტიკული ქულა.

Y- არის მიღებული ქულა.

n-არის ჩაბარებული სასწავლო კურსების რაოდენობა.

5. დასაფინანსებელ სტუდენტთა გამოვლენის შემდეგ უნივერსიტეტი სტუდენტებს უსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის საფასური, გარდა იმ თანხისა, რომლის დაფინანსებაც ივარაუდება უნივერსიტეტის მხრიდან. იმ შემთხვავაში თუ სტუდენტი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ დაფარავს

სწავლის საფასურის განსაზღვრულ ოდენობას, უნივერსიტეტი წყვეტავს მის დაფინანსებას.

6. დაფინანსების მსურველმა სტუდენტმა დაფინანსების მოთხოვნის მიზნით უნდა დაწეროს განცხადება რექტორის სახელზე და თან დაურთოს სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს ამ წესის მესამე მუხლში ჩამოთვლილი ფაქტების არსებობას. აღნიშნული განცხადება გადაეცემა სათანადო ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გონივრულ ვადაში რექტორის სახელზე წარადგენს რეკომენდაციას დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით, რის შემდეგაც რექტორი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის დაფინანსების ან არ დაფინანსების შესახებ.

7. აღნიშნული წესი არ ეხება იმ სტუდენტებს, რომელთაც მიმდინარე სემესტრში ან მთლიანი პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში მიღებული აქვთ სახელმწიფოს მხრიდან სრული დაფინანსება.